<u>საქართველო საერთაშორისო რეიტინგებში</u>

Freedom House: საქართველოს რეიტინგი პრესის თავისუფლების ინდექსში გაუარესდა

Freedom House-ის პრესის თავისუფლების შესახებ ყოველწლიურ კვლევაში საქართველოს რეიტინგი ზედიზედ მესამე წელია ეცემა, თუმცა ქვეყანა კვლავ „ნაწილობრივ თავისუფალის“ კატეგორიაში რჩება. 28 აპრილს გამოქვეყნებულ კვლევაში „პრესის თავისუფლება 2017“, რომელიც 2016 წლის მონაცემებს ეყრდნობა და 199 ქვეყანას ფარავს, საქართველოს 102–ე ადგილი უკავია 50 ქულით.

ანალოგიურ კვლევებში, რომლებიც 2015 და 2014 წლების მონაცემების ეყრდნობოდა, საქართველოს 96-ე (49 ქულა) და 93-ე (48 ქულა) ადგილები ეკავა, შესაბამისად. კვლევა თითოეულ ქვეყანას ანიჭებს ქულას 0-დან 100-მდე შკალაზე. ქვეყნები, რომლებსაც ენიჭებათ 0-დან 30-მდე ქულა, ხვდებიან ”თავისუფალი” მედიის მქონე ქვეყნების კატეგორიაში; 31-დან 60-მდე - ”ნაწილობრივ თავისუფალში”; 61-დან 100-მდე - ”არათავისუფალში”.

ბალტიისპირეთის ქვეყნების გარდა, 12 ყოფილი საბჭოთა ქვეყნიდან სამი - საქართველო, მოლდოვა და უკრაინა - „ნაწილობრივ თავისუფალი“ ქვეყნების კატეგორიაში მოექცა; დანარჩენები კი - „არათავისუფალის“ კატეგორიაში. 2016 წელს შეფასებული ქვეყნებიდან და ტერიტორიებიდან, 61 (31%) შეფასდა როგორც „თავისუფალი“; 72 (36%) – „ნაწილობრივ თავისუფალი“, ხოლო 66 (33%) – „არათავისუფალი“.

Civil Georgia, Tbilisi / 28 აპრ.'17 /

Reporters Sans Frontières: საქართველოს რეიტინგი პრესის თავისუფლების ინდექსში უცვლელი დარჩა

პარიზში არსებული მედიის უფლებათა დამცველი ჯგუფის „რეპორტიორები საზღვრებს გარეშეს“ (Reporters Sans Frontières - RSF) მიერ გამოქვეყნებულ ყოველწლიურ კვლევაში საქართველოს რეიტინგი 2016 წელს უცვლელი დარჩა. კვლევა „მსოფლიო პრესის თავისუფლების ინდექსი 2017“ 2016 წლის მოვლენებს ასახავს.

ანგარიშის თანახმად, 180 ქვეყანას შორის საქართველოს 27,76 ქულით 64–ე ადგილი უკავია. ანალოგიური მაჩვენებელი დაფიქსირ-

და 2016 წლის კვლევაში, ხოლო 2015 წლის რეიტინგში 27,70 ქულით ქვეყანას 69-ე ადგილი ეკავა. ქულები გაანგარიშებულია 1-დან 100-მდე შკალაზე. ინდექსის თანახმად, რაც უფრო მეტია ქულა მით უარესია ქვეყანაში მედიის მდგომარეობა.

ანგარიშის მიხედვით, საქართველოს პოსტ-საბჭოთა ქვეყნებიდან, ბალტიისპირეთის ქვეყნების გარდა, არცერთი ქვეყანა არ უსწრებს. „ბოლო წლებში განხორციელებულმა რეფორმებმა საქართველოს მედიაგარემო გააუმჯობესა: მედიის მფლობელობის გამჭირვალობა, სატელიტური ტელევიზიების პლურალიზმი და მაუწყებლობის მარეგულირებელ ორგანოში განხორციელებული ცვლილებები“, - ნათქვამია „რეპორტიორები საზღვრებს გარეშეს“ მოკლე კომენტარში საქართველოს შესახებ.

ორგანიზაცია უარყოფით მოვლენებსაც შეეხო. „რიგი სკანდალების შემდეგ, საკონსტიტუციო სასამართლომ 2016 წლის აპრილში მიიღო გადაწყვეტილება, რომ სადაზვერვო სტრუქტურების მიერ მოსმენების განხორციელება გარკვეულ შეზღუდვებს დაექვემდებაროს“, - განაცხადა ორგანიზაციამ. „ძალადობა ჟურნალისტების წინააღმდეგ უფრო იშვიათად ხდება, თუმცა ხშირად ვრცელდება ინფორმაცია მუქარის შესახებ“, - დასძინა ორგანიზაციამ.

მან ასევე განაცხადა, რომ „გარკვეული პროგრესის მიუხედავად, მედიაგარემო კვლავ „ძალიან პოლარიზებულია“, სადაც მედიის მფლობელები ხშირად სარედაქციო პოლიტიკაში ერევიან.

ორგანიზაცია „რუსთავი 2“ საკუთრების დავასაც შეეხო და განაცხადა, რომ „მთავარი სატელევიზიო არხების საკუთრებისთვის მიმდინარე ომი პლურალიზმის მომავლისთვის შეშფოთების წყაროს წარმოადგენს“. „მთავარი ნაციონალური ოპოზიციური ტელეკომპანიის, რუსთავი 2-ის ბედი იქნება აღნიშნულის ტესტი“, - განაცხადა ორგანიზაციამ.

„რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ თავის ყოველწლიურ კვლევას სხვადასხვა კრიტერიუმის საფუძველზე ადგენს, რომელთა შორისაა პლურალიზმი, მედიის დამოუკიდებლობა, მედიაგარემო და თვითცენზურა, საკანონმდებლო ბაზა, გამჭირვალობა და სიახლეებისა და ინფორმაციიის მომზადებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის ხარისხი.

თვისებრივი ანალიზი შეჯერებულია ჟურნალისტების წინააღმდეგ არასათანადო მოპყრობის და ძალადობის აქტების შესახებ რაოდ-

ენობრივ მონაცემებთან, რომელთა შეგროვება ცალკეულ ქვეყნებში კორესპონდენტების ქსელის მიერ ხდება.

Civil Georgia, Tbilisi / 26 აპრ.'17 /

Freedom House-ის კვლევის თანახმად, საქართველოს დემოკრატიულობის მაჩვენებელი არ შეცვლილა

Freedom House-ის ყოველწლიური კვლევის მიხედვით 2016 წელს საქართველოს დემოკრატიულობის მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით არ შეცვლილა.

„გარდამავალ ეტაპზე მყოფი სახელმწიფოები - 2017“ არის ყოველწლიური კვლევა, რომელიც პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში 2016 წელს არსებულ მდგომარეობას მიმოიხილავს.

ბოლო კვლევის თანახმად, საქართველოს დემოკრატიულობის საერთო ქულა, 2016 წლის ანგარიშის მსგავსად, 4.61-ს შეადგენს; 2015 წლის ანგარიშში, ეს მაჩვენებელი 4.64 იყო, ხოლო 2014 წელს - 4.68.

Freedom House-ის 2013 და 2012 წლის ანალოგიურ კვლევებში საქართველოს 4.75 და 4.82 ქულები ჰქონდა, შესაბამისად. დემოკრატიულობის საერთო ქულა გამოიანგარიშება ქულების საშუალო მაჩვენებლით ცალკეული კატეგორიების მიხედვით, რომელიც მოიცავს: საარჩევნო პროცესს, სამოქალაქო საზოგადოებას, დამოუკიდებელ მედიას, ცენტრალურ და ადგილობრივ მმართველობას, სასამართლო სისტემას და კორუფციას – ყველა ამ ცალკეული კატეგორიის მაჩვენებლები საქართველოსთვის 2016 წელს უცვლელი დარჩა.

ქულები წარმოდგენილია 1-დან 7-მდე შკალაზე, სადაც 1 დემოკრატიული განვითარების ყველაზე მაღალი მაჩვენებელია, ხოლო 7 - ყველაზე დაბალი. Freedom House-მა აღნიშნა, რომ ცალკეული ქვეყნების რეიტინგები ორგანიზაციის, მისი მრჩევლების და ცალკეული ქვეყნების შესახებ ანგარიშების ავტორების კონსენსუსის საფუძველზე შედგა. (საქართველოს შესახებ მოხსენების ავტორი მოცემული არ არის).

Freedom House-ის „გარდამავალ ეტაპზე მყოფი სახელმწიფოების“ პროექტის დირექტორი ნეით შენკანი ანგარიშის მიმოხილვით ნაწილში აღნიშნავს, რომ 2016 წელს ანგარიშში ასახული 29 ქვეყნიდან 18-ში დემოკრატიულობის ქულების კლება დაფიქსირდა, მათ შორის,

მონაცემები ყველაზე მნიშვნელოვნად 2008 წლის გლობალური ფინანსური არასტაბილურობის შემდეგ გაუარესდა.

„ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპასა და ბალკანეთის ქვეყნებში წლების მანძილზე გაბატონებულმა პოპულიზმმა და კორუფციამ ერთ დროს იმედისმომცემი დემოკრატიული ინსტიტუტები გაანადგურა. ევრაზიაში, პერსონალისტური ავტორიტარიზმი მზარდი ტენდენციიდან დამკვიდრებულ ნორმად იქცა“, - აცხადებს იგი.

ანგარიშის თანახმად, 12 ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკიდან (ბალტიისპირეთის სამი სახელმწიფოს გამოკლებით) რვაში „კონსოლიდირებული ავტორიტარული რეჟიმია“, ერთში – სომხეთში – „ნახევრად ავტორიტარული სისტემაა“. საქართველო, მოლდოვა და უკრაინა „გარდამავალ–ჰიბრიდული სისტემის“ მქონე ქვეყნებს მიეკუთვნებიან.’

ბალტიისპირეთში, ბალკანეთის ქვეყნებსა და ცენტრალურ ევროპაში შვიდი ქვეყანა „კონსოლიდირებული დემოკრატიის“ კატეგორიაში მოექცა (ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, პოლონეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, სლოვენია); ექვსი - „ნახევრად კონსოლიდირებული დემოკრატიის“ კატეგორიაში (უნგრეთი, ხორვატია, სერბეთი, მონტენეგრო, რუმინეთი, ბულგარეთი), ხოლო ოთხი „გარდამავალ–ჰიბრიდული სისტემის“ მქონე ქვეყნების ჯგუფში (ალბანეთი, მაკედონია, კოსოვო, ბოსნია და ჰერცეგოვინა).

Civil Georgia, Tbilisi / 4 აპრ.'17 /